საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეPარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003152

„27“ ოქტომბერი 2023 წ. ქ. თბილისი, გ. ფოცხიშვილის ქუჩა №6
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეPარტამენტი. მის: ქ. თბილისი, გ. ფოცხიშვილის ქუჩა №6
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: სს „ლანჩხთი ენერგი“ (ს/კ 405021275)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ჩ-ნი, ტიპი (2ბინა) ჯიხურის ქუჩა №10 სივ. №3, ეიპ „ა“. ფილ. ზესტაფონის ს/კ 01023006014. 2020 წლის 23 ოქტომბრის №2.967 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება
პირადობის, მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილე №003152 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: [illegible] №003152 [illegible]
[illegible] №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 ფურცელი.

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

[illegible] 79[8] [illegible]

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან წაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2023 წლის 27 თებერვლის №003152 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 6 ივლისის №DES12200000142 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მესტიაჭალას ხეობაში მდებარე, სს "სვანეთი ჰიდრო"-ს (ს/კ 405021275) კუთვნილი, მესტიაჭალა-2 ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-967 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 3 აგვისტოს №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება.

ადგილზე განხორციელებული ინსპექტირებით, კომპანიისა და სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კამერალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სს "სვანეთი ჰიდრო"-ს მიერ არ არის შესრულებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-967 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 3 აგვისტოს №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობები. კერძოდ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-967 ბრძანების **მე-2 პირობის შესაბამისად (2015 წლის 3 აგვისტოს №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობა)**, კომპანიამ საქმიანობის განხორციელება არ უზრუნველყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (გზშ. თავი 6.12 „კუმულაციური ზემოქმედება“ 286 გვ.), კუმულაციური ზემოქმედებიდან გამომდინარე, მდინარის კალმახზე და წყალთან დაკავშირებულ ცხოველთა სახეობებზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებაა ყოველწლიურად მდინარე მესტიაჭალაში 50 000 ცალი მდინარის კალმახის ლიფსიტას ჩაშვება, რაც კომპანიის მიერ არ განხორციელებულა. ასევე, ინსპექტირებით დადგინდა, რომ სადაწნეო მილსადენი რიგ მონაკვეთებში აცდენილია სადაწნეო მილსადენის პროექტით განსაზღვრულ ტრასას. კერძოდ:

- საკადასტრო კოდით **№42.06.47.055** განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე გამავალი მილსადენის ფართობია 2558.5მ^2. ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე პროექტით

განსაზღვრული მილსადენის ფართობი (შიდა ფართობი) შეადგენდა 2519.8 მ². დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საპროექტო მილსადენიდან არსებული მილსადენი გადაცდენილია **38.7მ² (გადაცდენის მაქსიმალური მანძილი შეადგენს 3 მეტრს);**

- საკადასტრო კოდით **№42.06.47.070** განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე გამავალი მილსადენის ფართობია 16370.5 მ². ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე პროექტით განსაზღვრული მილსადენის ფართობი (შიდა ფართობი) შეადგენდა 13239.5 მ². დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საპროექტო მილსადენიდან არსებული მილსადენი გადაცდენილია 3130.6მ² **(გადაცდენის მაქსიმალური მანძილი შეადგენს 20-30 მეტრს, ხოლო მინიმუმი გადაცდენის მანძილი - 1.5 მეტრი);**
- საკადასტრო კოდით **№42.06.47.053** განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე გამავალი მილსადენის ფართობია 7243.4 მ². ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე პროექტით განსაზღვრული მილსადენის ფართობი (შიდა ფართობი) შეადგენდა 2750.9მ². დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საპროექტო მილსადენიდან არსებული მილსადენი გადაცდენილია 4492.5 მ² **(გადაცდენის მაქსიმალური მანძილი შეადგენს 30 მეტრს, ხოლო მინიმალური 6 მეტრი);**
- საკადასტრო კოდით **№42.06.46.123** განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე გამავალი მილსადენის ფართობია 9893.2 მ². ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე პროექტით განსაზღვრული მილსადენის ფართობი (შიდა ფართობი) შეადგენდა 1918.6 მ². დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საპროექტო მილსადენიდან არსებული მილსადენი გადაცდენილია 7974.6 მ² **(გადაცდენის მაქსიმალური მანძილი შეადგენს 48 მეტრს, ხოლო მინიმალური 10 მეტრს).**

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-967 ბრძანების **მე-2 პირობის შესაბამისად** (2015 წლის 3 აგვისტოს №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **მე-18 პირობა)** კომპანიამ მიწის სამუშაოები არ განახორციელა "ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის№424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (გზშ. თავი 5.5.6. "სარეკულტივაციო სამუშაოები", გვ 210), სარეკულტივაციო სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო რეკულტივაციის პროექტის მიხედვით, თუმცა, ინსპექტირებით დადგინდა, რომ სს "სვანეთი ჰიდრო"-ს არ აქვს შემუშავებული და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი შესაბამისი რეკულტივაციის

პროექტი. ასევე დადგინდა, რომ კომპანიის მიერ სარეკულტივაციო სამუშაოები ჩატარებულია ჰესის შენობის ტერიტორიაზე.

გამოვლენილ დარღვევებზე, 2022 წლის 27 ოქტომბერს, სს „სვანეთი ჰიდრო"-ს (ს/კ 405021275) მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №072921 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა მესტიის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2022 წლის 25 ნოემბრის №4/ა-42-22 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა კომპანიის მიერ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, 2023 წლის 9 თებერვლის №4/ა-62-23 დადგენილებით, კომპანიის საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის №4/ა-42-22 გადაწყვეტილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „სვანეთი ჰიდრო"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2023 წლის 27 თებერვლის № 003152 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2023 წლის 27 თებერვლის №003152 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2.

სს „სვანეთი ჰიდრო"-ს (ს/კ 405021275) კუთვნილი, მესტიაჭალა-2 ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-967 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 3 ავისტოს №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად **სს „სვანეთი ჰიდრო" ვალდებულია:**

1. საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. კერძოდ, კუმულაციური ზემოქმედებიდან გამომდინარე, მდინარის კალმახზე და წყალთან დაკავშირებულ ცხოველთა სახეობებზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით, **ყოველწლიურად უზრუნველყოს** მდინარე მესტიაჭალაში 50 000 ცალი მდინარის კალმახის ლიფსიტას გაშვება;
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, **საქმიანობის განხორციელების პროცესში მიწის სამუშაოების შესრულება მუდმივად უზრუნველყოს** "ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

ამასთან, ინსპექტირების საფუძველზე დადგინდა, რომ საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში ასახულ გარემოებებს. კერძოდ, სადაწნეო მილსადენი, რიგ მონაკვეთებში აცდენილია სადაწნეო მილსადენის პროექტით განსაზღვრულ ტრასას. საპროექტო მილსადენიდან არსებული მილსადენის გადაცდენის მაჩვენებელი, სხვადასხვა კილომეტრნიშნულებზე მერყეობს 3 მეტიდან 48 მდეტრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „სვანეთი ჰიდრო" ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში,** მიმართოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის მიზნით.